მაჰათმა განდი

Mahatma Gandhi

ეთიკური რელიგია

ETHICAL RELIGION

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წიგნში „ეთიკური რელიგია“ განდი საუბრობს მორალზე, როგორც რელიგიათა საფუძველზე, ამტკიცებს, რომ მორალის გარეშე რელიგიას არსებობა არ შეუძლია – მისი თქმით, მორწმუნეა ის, ვინც ნებაყოფლობით იცავს ეთიკურ პრინციპებს. განდი საუბრობს იდეალურ მორალზე, რომელიც მიიღწევა მაშინ, როცა ადამიანი გაუკვალავ ბილიკსაც დაადგება, თუკი იცის, რომ ჭეშმარიტებას მიეახლება. ავტორი ხაზს უსვამს მორალური საქციელის ჭეშმარიტ არსს, რომელიც ადამიანის მხრიდან წინასწარგანზრახულ ქმედებას გულისხმობს და არა მექანიკურ ქცევას.

მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6552-7

სარჩევი

შესავალი.....5
1. დასაწყისი.....9
2. იდეალური მორალი.....13
3. რა არის მორალური საქციელი?.....17
4. არსებობს თუ არა უმაღლესი კანონი?.....25
5. მორალი, როგორც რელიგია.....32
6. რელიგიური მორალი თუ.....38
მორალური რელიგია.....38
7. სოციალური იდეალი.....45
8. პირადი მორალი.....50

შესავალი

ამქვეყნად მუდამ ბევრი სიყალბე იყო და დროთა განმავლობაში ის სულ უფრო და უფრო იმატებს. რომელი რელიგიის მიმდევარიც უნდა იყოს ადამიანი, ის მხოლოდ მის გარეგნულ ატ-რიბუტებზე ფიქრობს და თავისი ჭეშმარიტი მო-ვალეობების შესრულება ავიწყდება. სიმდიდრი-საკენ ჩვენი შეშლილი ლტოლვისას იშვიათად თუ ვფიქრობთ იმ ზიანზე, რეალურსა თუ სავსებით შესაძლებელზე, რომელსაც ჩვენ სხვებს ვაყენებთ. ქალებს ევროპაში ოდნავაც არ რცხვენიათ რბილი ხელთათმანების ტარების. არავის არ აშფოთებს ის ფაქტი, რომ მათ დამზადებას სუსტი და უმწეო ცხოველები ეწირებიან. ყველამ იცის, რომ ბატო-ნმა როკფელერმა, ყველაზე მდიდარმა ადამიანმა მსოფლიოში, მრავალჯერ დაარღვია მორალის

წესები სიმდიდრის დაგროვებისას და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ადამიანები ცხოვრობენ პირობებში, რომლებიც აიძულებს ბევრ ევროპელს და ამერიკელს, რელიგიას ზურგი აქციოს. ეს ხალხი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი რელიგია – ის რომ სინამდვილეში არსებობდეს – არ დაუშვებდა ამდენი ბოროტება და ცოდვა ყოფილიყო გამეფებული დედამიწაზე. ეს მცდარი თვალსაზრისია. იმას ჰგავს, მუშა თავის ხელსაწყოებს რომ ეჩხუბება და არ ცდილობს დამნაშავე საკუთარ თავში ეძებოს. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი ბოროტება გაიაზრონ, ადამიანებმა თვითონ რელიგია მიიჩნიეს მცდარად და განაგრძობენ თავიანთი წესებით ცხოვრებას.

ბევრი ამერიკელი და ევროპელი, აკვირდება რა მიმდინარე პროცესებს, შიშობს, რომ რელიგიების განადგურებით ადამიანებს უდიდესი უბედურება დაატყდებათ თავს და ისინი საბოლოოდ დაივიწყებენ მორალის გზას, ამიტომ ახლა ისინი ადამიანების ამ გზისკენ შემობრუნებას ცდილობენ.

შეიქმნა საზოგადოება (ეთიკური კულტურის საზოგადოება ჩიკაგოში), რომელმაც გამოიკვლია ყველა არსებული რელიგია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თითოეული მათგანი არა მხოლოდ მორალს ასწავლის, არამედ ძირითადად ეთიკურ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომ ეთიკური კანონების დაცვა ყველას ვალია, იმის მიუხედავად, თუ რომელი რელიგიის მიმდევარია ის. ყველა, ვინც ამ

1. დასაწყისი

მორალური კულტურის წყალობით ადამიანს შეუძლია კარგი, კეთილშობილი აზრები ჰქონდეს. სხვადასხვა მეცნიერებები გვაჩვენებენ სამყაროს ისეთს, როგორიც ის არის. ეთიკა ამბობს, როგორი უნდა იყოს ის და ეთიკის წყალობით ადამიანმა იცის, როგორ მოიქცეს. ადამიანს თავის გონებაში ორი ფანჯარა აქვს. ერთი მათგანიდან მას შეუძლია დაინახოს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ის არის, მეორით კი – როგორი უნდა იყოს ის. ადამიანის სხეული, მისი ტვინი და გონება ცალ-ცალკე უნდა იქნას გამოკვლეული, მაგრამ, თუ ამაზე შევჩერდებით, ჩვენ ვერავითარ შედეგს ვერ მივიღებთ, მიუხედავად მთელი ჩვენი მეცნიერული ცოდნისა. აუცილებელია ასევე ვიცოდეთ, რა საშინელ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს უსამართლობამ,